



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N012/19<sup>1</sup> რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

სალომე ზეინკლიშვილი (სტუდენტი)

### შეკითხვა

ნივთის თავისუფალ ფლობაში გადმოცემის საქმესთან დაკავშირებით ადვოკატი ასაჩივრებს სასამართლოს განჩინებას ბაჟის საფასურის გადახდის გარეშე. სახეზე არაა ბაჟის გადახდის საფუძველი, ადვოკატს კი აქვს/უნდა ჰქონდეს ცოდნა ბაჟის გადახდის სავალდებულობის/საჭიროების თაობაზე. არის თუ არა მოცემული ქმედება ეთიკის ნორმების დარღვევა?

### სამართლებრივი შეფასება

საკითხი ეხება სასამართლოში კლიენტის წარმომადგენლობისას საპროცესო მოქმედების განხორციელებას. კომისიამ ანალიზისას ადვოკატის ქმედება შეაფასა ეთიკის კოდექსის ნორმების გათვალისწინებით. ადვოკატი ვალდებულია შეასრულოს პროფესიული ფუნქციები და დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები. მას უფლება აქვს კლიენტის ინტერესებისათვის გამოიყენოს ის საშუალებები, რომლებიც არაა აკრძალული კანონით/პროფესიული ეთიკის ნორმებით. ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე. თუმცა ინტერესების დასაცავად განხორციელებული მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონდებლობასა და პროფესიული ეთიკის კოდექსს. აქედან გამომდინარე, პროცესის გაჭიანურება არაა ადვოკატის როლის შესაბამისი ქცევა. თუმცა ადვოკატის ქმედება ამ შემთხვევაში არ უნდა შეფასდეს არაეთიკურად, მხოლოდ იმიტომ, რომ მან ბაჟი არ გადაიხადა. შესაძლოა ეს ქმედება კლიენტის ინტერესის დაცვის მიზნიდან გამომდინარეობდეს. მნიშვნელოვანია, ადვოკატი მოქმედებდეს კლიენტის ინტერესების შესაბამისად. ამაში იგულისხმება ისიც, რომ ბაჟის გადაუხდელობა წარმოადგენდეს კლიენტთან შეთანხმებულ ქმედებას. ასევე, კლიენტი უნდა ფლობდეს ინფორმაციას საპროცესო მოქმედების განხორციელების შედეგთან დაკავშირებით, მათ შორის უნდა აფასებდეს რისკებს. ადვოკატის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გარეშე საჩივრის წარდგენა არა არის არაეთიკური ქმედება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პროცესის განზრახ გაჭიანურება აფერხებს ეფექტიან მართლმსაჯულებას, ეს კი თავის თავში მოიცავს სწრაფ მართლმსაჯულებას, რომლის მისაღწევადაც ადვოკატის როლი არსებითია.

### დასკვნა

ადვოკატის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა არაა არაეთიკური ქმედება, თუკი ის კლიენტის ინტერესების დაცვის გამო მოიქცა ასე. თუმცა კომისია განმარტავს, რომ პროცესის გაჭიანურება ერთმნიშვნელოვად აფერხებს მართლმსაჯულების ეფექტიანობას, ამაში კი ადვოკატის როლი უმნიშვნელოვანესია.

<sup>1</sup><https://gba.ge/pdf/5f02e4d238167.pdf/werilobiti%20rekomendacia%20%20012.19%20%20gacemis%20tarigi%2005.01.20.pdf>